

რა საფრთხის შემცველია ფულის მასის ზრდის დაცემა?

გაზეთი “ალია” – 25-26 დეკემბერი, № 157, 2008

საქართველოში ფულის მასის (M3) წლიური ზრდა მიმდინარე წლის ნოემბერში 1,5 პროცენტზე დაეცა. საქართველოს მთავრობის ინფორმაციით, ოქტომბერში აღნიშნული მაჩვენებელი 2 პროცენტს შეადგენდა, სექტემბერში – 6,3 პროცენტს, ხოლო აგვისტოში – 7,8 პროცენტს. M3 ფულის აგრეგატია, რომელიც ნაღდი ფულს, ჩეკებს, შენატანებს, სადეპოზიტო სერტიფიკატებს, სახელმწიფო სესხის ობლიგაციებს, საზინის შემნახველ ობლიგაციებს და კომერციული ქაღალდებს მოიცავს.

„ალიას“ ესაუბრება დამოუკიდებელი ეკონომიკური ექსპერტი ლადო პაპავა:

– ჯერ ვისაუბროთ M3 სტრუქტურის შესახებ. საქართველოში გამოყენებული პრაქტიკის თანახმად ეს არის ფული ბანკებს გარეთ, დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში და დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში. ფულის მოცულობა ბანკებს გარეთ, ასევე დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში შემცირდებოდა თუ გავითვალისწინებთ, რომ უკვე ჩამოყალიბდა საკმაოდ სერიოზული ტენდენცია როცა მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე კომერციული ბანკების მხრიდან სტაბილურია. ანუ, კომერციული ბანკები ყიდიან ლარებს და ყიდულობენ დოლარებს. ამ ლარების მყიდველი და დოლარების გამყიდველი არის საქართველოს ეროვნული ბანკი, შესაბამისად მიმოქცევიდან ამოდის ფული, რომელიც ტრიალებს ქვეყნის შიგნით. ამას ემატება ისიც, რომ საერთოდ მცირდება ქვეყანაში დეპოზიტები, როგორც ეროვნულ ვალუტაში, ასევე უცხოურ ვალუტაში, რადგანაც სამწუხაროდ შეიქმნა არასასურველი გარემო, განსაკუთრებით 7 ნოემბრის შემდეგ და საბანკო სექტორის მიმართ ნდობამ დაიწია. ეს სულაც არ არის კარგი და მე ვთვლი, რომ საბანკო სისტემის მიმართ საზოგადოებას ნდობა მაღალი უნდა ჰქონდეს. რაც შეეხება ფასიან ქაღალდებს, ისინი M3-ში საქართველოში გამოყენებული პრაქტიკის თანახმად არ შედიან. ასე, რომ თქვენს მიერ წაკითხულმა განცხადებამ

აშკარად გამაკვირვა: მისმა ავტორმა M3 ეტყობა იცის სახელმძღვანელოდან და ჩვენს ქვეყანაში გამოყენებულ პრაქტიკას ნაკლებად იცნობს.

– მთავრობის ინფორმაცია ამ სახითაა გაფრცვლებული, ბატონო ლადო.

– საერთოდ ამ ინფორმაციას მთავრობა კი არ უნდა ავრცელებდეს, არამედ –ეროვნული ბანკი. ეს კი არა უბრალოდ შეცდომაა, არამედ მთავრობის მიერ ეროვნული ბანკი შესახებ ორგანული კანონის დარღვევაა. სამწუხაროა, რომ ამას პარლამენტში ვერაფერს შენიშნავს...

– მიმოქვეცაში ფულადი მასის შემცირება ამცირებს ინფლაციის დონეს და გამოდის რომ ამ შემთხვევაში დადებითად უნდა შეფასდეს M3-ის მაჩვენებლის შემცირება?

– ასე ერთმნიშვნელოვნად ამის შეფასება არ შეიძლება, რადგან ჩვენ უნდა შევხედოთ თვითონ პროცესი რამდენად ობიექტურად მიმდინარეობს. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ეროვნული ბანკი რეზერვებს კარგავს და ყიდის დოლარებს ლარის ობიექტურად განპირობებული დევალვაცია რომ არ მოხდეს. ამ თვალსაზრისით, ამ მექანიზმით ფულის მასის ამოღება სულაც არ არის გამართლებული ამ დოზით, რადგან ჯობია ლარის დევალვაცია უფრო შესამჩნევი, მაგრამ არა ნახტომისებური, იყოს. ეს კი იმისთვისაა საჭირო, რომ შემდგომში, ალბათ ახალი წლის შემდეგ, საჭირო რომ არ გახდეს მორიგი ნახტომის – “მწვანე პარასკევის” – მოწყობა. ასე, რომ ჩემი დამოკიდებულება ამგვარი ქმედებისადმი კრიტიკულია. მეორეს მხრივ, ბანკების მიმართ ნდობა აღსადგენია. რამდენადაც ჩემთვის გახდა ცნობილი რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთი 9%-დან ჩამოვიდა 8%-მდე. ანუ, ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს აძლევს საშუალებას ეროვნული ბანკიდან კიდევ უფრო იაფად ისესხონ. ამ მიმართულებით ეროვნული ბანკი ბაზარზე ლარის მოცულობას გაზრდის, მაგრამ იმავედროულად ქვეყანას საბანკო კრიზისის შესაძლო რეციდივებს ააცილებს თავიდან, რაც აბსოლუტურად სწორია ჩვენში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, რადგან საბანკო კრიზისი გაცილებით დიდი საფრთხის მომტანია ვიდრე მაღალი ინფლაცია. დღეს ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს ორ რამეს. აქ რიგითობა არსებითად არაფერს განსაზღვრავს, მაგრამ აუცილებელია კომერციული ბანკების და ლარის მიმართ ნდობის აღდგენა.

დიმიტრი ტიკარაძე